პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 206 (12718) | სამშაბათი, 3 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

გულითადი შეხვედრები

ნ. ს. ხრუშჩოვი ზაგრებში

ზაგრები, 1 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და ი. ტიტოვი იტყობინებიან:

დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო ჩამოვიდნენ ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ზაგრებში.

დღეს დილით სტუმართმოყვარე სლოვენიის მოსახლეობამ გულთბილად გააცილა ძვირფასი სტუმრები. სლოვენიის მთელ გზებზე ბრდღვინავ ოტოჩეცამდე საზეიმოდ მორთული ქალაქებისა და სოფლების ათასობით მცხოვრები გულთბილად მიესალმებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და პრეზიდენტ ტიტოს და უსურვებდა მათ შვიდობიან მგზავრობას.

ავტომანქანების კორტეჟი ჩამოვიდა ქალაქ ოტოჩეცში — სლოვენია-ხორვატიის საზღვარზე. აქამდე ნ. ს. ხრუშჩოვი მოაცილეს სლოვენიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა მ. მარინკომ, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ფ. ლესკოშეკმა და სლოვენიის რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა. ოტოჩეცში, რომელიც ზაგრებიდან 65 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ძვირფასი სტუმრების შესახვედრად ჩამოვიდნენ ხორვატიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვ. ბაკარიჩი, ხორვატიის მთავრობის მეთაური მ. შპილიაკი და სხვა ოფიციალური პირნი.

ოტოჩეცში მცირე ხნის შესვენების შემდეგ მანქანების კოლონა გაემართა ზაგრებში. იუგოსლავიის სიდიდით მეორე ქალაქის ზაგრების მცხოვრებნი აღფოთოვანებით შეხვდნენ საპატიო საბჭოთა სტუმარსა და თავიანთ პრეზიდენტს. გარეუბნებიდან ცენტრამდე ყველა ქუჩაზე, რომლებზეც ავტომანქანებით მიდიოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და იოსიპ ბროზ ტიტო, უამრავი ხალხი ჩამწკრივდა. შეკრებილები წითელ საბჭოთა და სამფეროვან იუგოსლავურ ალმებს აფრიალებდნენ, გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები, გრიალებდა ერთსულოვანი „ვაშა“.

ყველგან — დროშები, ალმები, ტრანსპარანტები წარწერებით რუსულ და ხორვატულ ენებზე: „ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო საბჭოთა სტუმრებო“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის ხალხთა ერთობას“, „მშვიდობა და სოციალიზმი განუყოფელია“.

ნ. ს. ხრუშჩოვთან და იოსიპ ბროზ ტიტოსთან ერთად ზაგრებში ჩამოვიდნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ა. რანკოვიჩი და იუგოსლავიის სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. ტოლსტიკოვი. სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ა. მ. პუზანოვი.

ზაგრები, 2 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და ი. ტიტოვი იტყობინებიან: გუშინ ნაშუადღეს ნ. ს. ხრუშჩოვი, ი. ბროზ ტიტო და მათი თანმხლები პირნი ეწვივნენ მოში პიადეს სახელობის მუშათა უნივერსიტეტსა და ორგანული ქიმიის კომბინატს.

მუშათა უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა სტოიანკა არალიცამ სტუმრებს გააცნო სწავლების სისტემა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მსმენელები იძენენ როგორც ზოგად, ასევე სპეციალურ ცოდნას.

ნ. ს. ხრუშჩოვი დაწვრილებით გაეცნო უნივერსიტეტის მუშაობას, სწავლების ვადებს, კადრების გამოყენებას და სხვა საკითხებს. მან დამსწრეთ უამბო წარმოებას მოუწყვეტლივ პროფესიული სწავლების გამოცდილების შესახებ საბჭოთა კავშირში.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი იყო ორგანული ქიმიის კომბინატის მშენებლობაზე. ამუშავების შემდეგ ეს კომბინატი ყოველწლიურად მოგვცემს 38,5 ათას ტონა ქიმიურ პროდუქტს, მათ შორის 15 ათას ტონა პოლიეთილენს. კომბინატში იმუშავებს ათასამდე კაცი, უმთავრესად კვალიფიციური მუშები.

საპატიო საბჭოთა სტუმარი იყო ქარხნის ლაბორატორიებში, რომლებიც მომავალში ორგანული ქიმიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები გახდებიან. იგი ესაუბრა კომბინატის ხელმძღვანელებსა და ინჟინრებს და მაღალი შეფასება მისცა მათს მეცადინეობას ახალი საწარმოს შესაქმნელად. კომბინატიდან გამგზავრების წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა და იოსიპ ბროზ ტიტომ ხელი მოაწერეს საპატიო სტუმართა წიგნში.

საღამოს ხორვატიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბაკარიჩმა საბჭოთა მოვაჭრობის მუთაურის პატივსაცემად მოაწყო საზეიმო ვახშამი.

გვიან საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი, იოსიპ ბროზ ტიტო და მათი თანმხლები პირნი სპეციალური მატარებლით ზაგრებიდან ბელგრადს გაემგზავრნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ჩავიდა ბელგრადში

ბელგრადი, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო და მათი თანმხლები პირები სპეციალური მატარებლით ზაგრებიდან ბელგრადს ჩავიდნენ.

ბელგრადი, 2 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და ი. ტიტოვი იტყობინებიან:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს ბელგრადში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურ მდივანთან, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან იოსიპ ბროზ ტიტოსთან ერთად დათვალიერა ბელგრადის გამოფენის პავილიონები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ აშენდა სავის ნაპირზე. ამხანაგი ხრუშჩოვი დაინტერესა გამოფენის დარბაზების მშენებლობის არქიტექტურულმა გადაწყვეტამ.

დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვს გადაეცა გამოფენის ოქროს მედალი და ფოტოსურათების ალბომი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ნ. ს. ხრუშჩოვთან და პრეზიდენტ ტიტოსთან ერთად გამოფენა დაათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ ლენინგრადის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ს. ტოლსტიკოვმა, საბჭოთა კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ა. მ. პუზანოვმა, აგრეთვე სერბიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვესელინოვმა, სერბიის აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარემ ს. პენეზიჩმა, იუგოსლავიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ც. მიჰატოვიჩმა.

ლაშქრობა ცოდნისათვის

გუშინ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო ახალი სასწავლო წელი

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. გუშინ აწყრიალებულმა სექტემბრის პირველმა ზარმა ამცნო მოსწავლე ახალგაზრდობას სასიხარულო დღის დადგომა. მოსწავლეთა რვაასი-ათასიანი არმია მოიჯდა მერხებს გუშინ პირველად ზაფხულის არდადეგების შემდეგ.

მასწავლებელთა სამოციათასიანი არმიიდან 1.700-მდე პედაგოგი პირველად შედის კლასებში ჟურნალით ხელში. კეთილი იყოს მათი მოსვლა სკოლაში და წარმატება ვუსურვოთ მათ მომავალ პედაგოგიურ მოღვაწეობაში! ათასობით ნორჩი მოქალაქე — გოგონა და ბიჭუნა პირველად აუყვა სკოლის კიბეებს, პირველად შეაღო საკლასო ოთახის კარი და მიუჯდა მერხს, პირველად გაეცნო მასწავლებელს. კეთილი იყოს თქვენი სტარტი, ბედნიერო ბავშვებო, ცოდნის შეძენისათვის დაწყებულ თქვენს ლაშქრობაში! რესპუბლიკის 4.258 დაწყებითსა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დარეკა გუშინ სექტემბრის ზარი, ათობით უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებელში დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

დიდია იმათი სიხარული, ვინც წელს პირველად შეაღო უმაღლესი სასწავლებლის კარი. ბევრი მათგანი მოსულია უშუალოდ ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან.

დაიწყო მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ლაშქრობა ცოდნის შეძენის გზაზე

წარმატებას ვუსურვებთ მათ!

სურათზე: თბილისის მე-4 საშუალო სკოლის (ლენინის რაიონი) პედაგოგს ეკგენია ბახიას პირველკლასელები მიჰყავს პირველ გაკვეთილზე.

ფოტო ვლ. „გინზბურგისა“.

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!

სულ უფრო და უფრო მეტი ჩვენი ახალგაზრდა ეუფლება ცოდნას, მეცნიერებასა და ტექნიკას. ცოდნა და მეცნიერება კაცობრიობის პროგრესის შესანიშნავ გზებს გვიშლის წინ.

ვის არ აღაფრთოვანებს დღევანდელი მეცნიერების შესანიშნავი მიღწევები — ატომის წიაღის ვეება ენერგიის გამოყენება, ნავთობისა და ქვანახშირისაგან სრულიად ახალი თვისებების სამშენებლო და პრაქტიკულ ცხოვრებაში სხვაგვარად მოსახმარი მასალის მიღება, ჩვენი ავიაციის განვითარება, რამაც ამზომად შეამცირა მანძილები, როგორ როლს ასრულებს ჩვენს პრაქტიკულსა და სულიერ ცხოვრებაში რადიო და ტელევიზია. რა ფანტასტიკურია სათვლელი მათემატიკური მანქანების ესოდენ გონიერი მუშაობა და უნარი ჩაერიონ წარმოების მართვის პროცესში.

განა საოცარი არ არის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების, კოსმოსური ხომალდების სრბოლა, ჩვენი გმირი კოსმონავტი ვაჟებისა და კოსმონავტი ქალის ფრენა კოსმოსურ სივრცეში!

ყოველივე იმან, რაც ჩვენს გარშემოა, არ შეიძლება არ აღუძრას ცნობისმოყვარე ახალგაზრდობას ცოდნის წყურვილი და შემოქმედებითი შრომის წადილი, საზოგადოების, სამშობლოს სამსახურის სურვილი, შრომისმოყვარეობა.

გუშინ საბჭოთა კავშირში მრავლად არსებული ყველა სასწავლებლის კარები კვლავ გაიღო სწავლასა და შრომას მოწყურებული ახალგაზრდობისათვის.

ვუსურვოთ საბჭოთა ახალგაზრდებს დიდი წარმატება ცოდნის დაუფლებაში, შრომაში და ნათელი მომავლის მშენებლობაში.

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ახალგაზრდებო!

ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

დაეუფლეთ მეცნიერების მწვერვალებს

დადგა ბეჯითი სწავლისა და შრომის სასიხარულო პერიოდი. უმაღლესმა სკოლამ ფართოდ გაუღო კარი ახალ შევსებას. დღეს უფროს სტუდენტებთან ერთად მერხებს მოუსხდნენ ახალბედა სტუდენტებიც. მათ აღზრდასა და დავალებებზე ფიქრი ყველა უმაღლესი სკოლის კოლექტივის საზრუნავი საგანი უნდა იყოს.

თანამედროვე მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაუფლება ადამიანისაგან მოითხოვს დაუშრეტელ ენერგიას, ორგანიზებულობას, გონებრივ დაძაბულობას. მომავალი სპეციალისტის ყოველი ნაბიჯი მეცნიერებაში მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს პრაქტიკას, ცხოვრებას.

უნდა გვახსოვდეს დიდი მარქსის შესანიშნავი სიტყვები იმის შესახებ, რომ მეცნიერებაში არ არის ფართო შარაგზა და მისი მწვერვალების მიღწევა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც დაღლილობას არ უშინდება და ვინც ცოცვით მიჰყვება მის კლდოვან ბილიკებს.

უფროსი თაობის შემცვლელნო, ჩვენო სახელოვანო ახალგაზრდობავ, იყავით ჩვენი ეპოქის ღირსეული შვილები, ბეჯითი სწავლითა და გმირული საქმიანობით ასახელეთ დიდების შარავანდედით მოსილი ჩვენი საყვარელი სამშობლო.

პროფესორი ი. ბუაჩიძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი.

გულთბილი მილოცვა — ვიეტნამელ ხალხს

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ხო ში მინს, ჩიონგ ტინსა და ფამ ვან დონგს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ ვიეტნამელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 18 წლისთავს.

საბჭოთა ხალხი, ნათქვამია დეპეშაში, სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავისი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის და მტკიცედ გმობს ამერიკის შეურთებული შტატების შეიარაღებულ აგრესიას ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ სსრ კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე დამყარებული მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა თავის შემდგომ განვითარებას ჰპოვებს სოციალისტური ბანაკის განმტკიცებისათვის, მშვიდობისაათვის მთელს მსოფლიოში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს სუან ტუის. (საკდესი).

ვიეტნამი ნახატებში, სურათებში

მოსკოვი, 31 აგვისტო. (საკდესი). „როგორც ხე არის დაკავშირებული თავის ტოტებთან, ასევე ჩვენი ქვეყანა განუყოფელი მთლიანობაა და არაფერს არ ძალუძს მისი გაყოფა“. — ეს ვიეტნამელი მხატვრის ლეო კუოკ ლონის პლაკატის სიტყვები გამოხატავენ გამოფენის — „ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა თავისი ქვეყნის გაერთიანებისათვის“ — მთავარ აზრს. ეს გამოფენა ღღეს გაიხსნა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში.

მრავალ დოკუმენტურ ფოტოსურათში, პოლიტიკურ პლაკატსა და სატირულ ნახატში ასახულია ვიეტნამის პატრიოტთა გმირული ბრძოლის ისტორია ნგო-დინ-დიემის ხროვისა და მისი იმპერიალისტი ბატონების სისხლიანი ჩაგვრის წინააღმდეგ.

დასამახსოვრებელია ფოტოსერია „სამხრეთ ვიეტნამი იბრძვის“. სამხრეთ ვიეტნამის ხალხის საბოლოო გამარჯვების ღრმა რწმენით არის გამსჭვალული პლაკატები ხუანგ ჩანსა „სამხრეთი და ჩრდილოეთი — განუყოფელი მთლიანობაა“, ნიუ თხანისა — „სამხრეთი მგლოვიარეა, მაგრამ აღსავსეა გმირობით“, კიუ ლონ ზნანგისა — „ჩვენ გავიმარჯვებთ“ და სხვები.

საბჭოთა ხალხს სჯერა, რომ ვიეტნამელი ხალხი გაიმარჯვებს თავის სამართლიან ბრძოლაში, თქვა გამოფენის გახსნაზე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა პ. ი. ლებედევმა.

ვიეტნამის საელჩოს მრჩეველმა კულტურის დარგში ფამ ვან ხაომ გამოფენის გახსნაზე გამოთქვა რწმენა, რომ გამოფენა ხელს შეუწყობს საბჭოთა და ვიეტნამელი მხატვრების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის შესახვედრად

შრომის ზეიმი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები გაეცნენ ზესტაფონელ მეტალურგთა თაოსნობას, მხურვალედ დაუჭირეს მხარი მათ და ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ლენინის სახელობის მაღაროს სკრეპერის წარჩინებულმა მემანქანემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დ. კილაძემ განაცხადა:

— ზესტაფონელი მეტალურგები საქართველოს კომუნისტთა XXII ყრილობისადმი მძიმეენილი შეჯიბრების მოთავედ გამოვიდნენ. მეტალურგები და მაღაროელები ღვიძლი ძმები ვართ. ჩვენი გადიდებული მარგანეცის პირველი მომხმარებლები სწორედ ზესტაფონელი მეტალურგები არიან. იმედი ჭკონდეთ, რომ მაღაროხარისხოვან მარგანეცს არ მოვაკლებთ. პირად წლიურ გეგმას სექტემბრის პირველ რიცხვებში შეასრულებ.

ყრილობის ღირსეულად შესახვედრად ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა ყველა მაღაროემ, მადნის გამამდიდრებელმა ფაბრიკამ, უბანმა, ცალმ, ბრიგადამ. მოლიანად ჭიათურელ მაღაროელთა ვალდებულებები ასეთია:

სასაქონლო მარგანეცის დამზადების წლიური გეგმა შეასრულონ 1 დეკემბრისათვის, მაღალი ხარისხების მარგანეცის დამზადებისა — 15 დეკემბრისათვის;

შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 8 პროცენტით;

თვითღირებულების შემცირებით დაზოგონ 850.000 მანეთი;

რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვით მიიღონ 700.000 მანეთი წლიური პირობითი ეკონომია.

მაღაროელები ნაკისრ ვალდებულებებს განაღდებენ. ამის თავდებია მაღაროელთა თავდადება და მარგანეცის მრეწველობის დაუშრეტელი რეზერვები. მარგანეცის ტრესტი პირველ და მეორე კვარტალში პირველ ადგილზე გამოვიდა, მოიპოვა საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. რვა თვის დავალება შეასრულეს და მეტალურგებს ათეულ ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი მისცეს.

მათი პასუხი

ფოთი, (საკ. კორ.). ზესტაფონელ მეტალურგთა თაოსნობამ მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა ფოთის ქარხანა „ფოთელექტროაპარატის“ კოლექტივში.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა: ყრილობის გახსნის დღეს 24 დეკემბერს სამშობლოს უმატაკოს წლიური გეგმის შესრულება, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 1,5 პროცენტით, აითვისოს ახალი სახის პროდუქცია.

ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები უკვე შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულების განაღდებას. ქარხანამ რვა თვის დავალება 25 აგვისტოსათვის შეასრულა.

წლიური გეგმა — 25 დეკემბერს

თბილისის ბამბის ფაბრიკის კოლექტივმა რვა თვის საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე — 27 აგვისტოსათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით 34 ტონა ბამბა მიაწოდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს. გასული შვიდი თვის მანძილზე აჭ შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 44,2 პროცენტით ამაღლდა. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება შესრულებულია 39 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა ზესტაფონელ მეტალურგთა შესანიშნავი თაოსნობა და გადაწყვიტა:

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას უმატაკოს წლიური გეგმის შესრულება;

წინათ ნაკისრი 20 ათასი მანეთის ნაცვლად გეგმასთან შედარებით განოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 25 ათასი მანეთით;

შვიდწლედის ეკონომიის ფონდში დამატებით შეიტანოს 20 ათასი მანეთი;

წლის ბოლომდე დაზოგავს 35 ტონა ნედლეულს;

წინათ ნაკისრი 1,5 პროცენტის ნაცვლად შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაზარდოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო,

ავხაზეთი უპატაკეგს

ავხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა 31 აგვისტოსათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა. მათ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 ათასი ტონისა ჩაბარეს 27,004 ტონა — 3.200 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის იყო ჩაბარებული.

ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდება.

ნარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1963 წლის 1 სექტემბრისათვის (ტონობით)

საწარმოო სამმართველოები	გეგმა 1963 წლის	გეგმა აგვისტო	შესრულება სულ წლის დასაწყისიდან	შესრულება აგვისტოში	შესრულების პროცენტი წლიური	შესრულების პროცენტი აგვისტოში
აფხაზეთის ასსრ	27000	5940	27040	5489	100,2	92,4
გალის	14110	3104	14111	2852	100,0	91,9
ოზურგეთის	9990	2198	10020	1913	100,3	87,0
გუდაუთის	2900	638	2912	724	100,4	113,5
აბაშის ასსრ	27000	5938	27574	3998	102,1	67,3
ჩხავის	26820	5898	27338	3961	101,9	67,2
ხულოს	180	40	236	37	131,1	92,5
მახარაძის	37605	8270	37352	6418	99,3	77,6
ზუგდიდის	33200	7300	33323	6618	100,4	90,7
ცხაკაიას	9680	2130	10066	1882	104,0	88,4
ლანჩხუთის	9395	2070	9533	1871	101,5	90,4
გეგეჭკორის	8370	1843	7790	1567	93,1	85,0
წყალტუბოს	6300	1385	7395	1270	117,4	91,7
სამტრედიის	3938	865	4289	794	108,9	91,8
ზესტაფონის	285	60	345	44	121,1	73,3
საჩხერის	165	35	232	32	140,6	91,4
მაიაკოვსკის	62	14	86	17	138,7	121,4
სულ 1962 წლის 1 სექტემბრისათვის იყო	163000	35850	165028	30000	101,2	83,7
1963 წლის 25 აგვისტოსათვის იყო	155000	35312	154386	26204	99,6	74,2
	—	—	157974	22946	—	—

ჯ. ნერუს გამოსვლა

უკანასკნელ საათს

გჯროგენ მეშახტეები

მოსკოვი, 2 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვში გაიხსნა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის VIII ყრილობა. ყრილობამ დიდი აღმავლობით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საანგარიშო მოხსენება ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მ. ვლადიჩენკომ.

დელი, 2 სექტემბერი. (საკდესი). „განიარაღება თანამედროვეობის საარსებო დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა“. — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ, როცა გახსნა კამათი პარლამენტის ზედამალატაში ინდოეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ნერუმ აღნიშნა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განიარაღების საკითხის განხილვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე. მან იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესია თავის წვლილს შეიტანს სადავო საერთაშორისო საკითხების მოწესრიგებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

შემდეგ ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა „უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მიუმხრობლობის პოლიტიკას“, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში და თანამშრომლობის განვითარებას ყველა ქვეყანას შორის“. პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყოველი სხვა პოლიტიკის განხორციელება კატასტროფას მოასწავებს“ ინდოეთისათვის.

შეეხო რა მდგომარეობას სამხრეთ ვიეტნამში, ნერუმ აღნიშნა, რომ ინდოეთის სიმპათიები სამხრეთ ვიეტნამის ბუდისტთა მხარეზეა. რომელთა წინააღმდეგ რეპრესიებს მიმართავენ ნგო დინ დიემის ხელისუფლები. მან თქვა, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი ამ რეპრესიათა შეწყვეტის მიზნით.

ნერუ შეეხო ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობის საკითხს და აღნიშნა, რომ ეს საკითხი „უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ინდოეთისათვის“. მან ხაზი გაუსვა, რომ ინდოეთი არ იწონებს „სამხედრო მეთოდების გამოყენებას ამ პრობლემის გადასაჭრელად. რადგან ეს ეწინააღმდეგება პოლიტიკას, რომელსაც ინდოეთი ახორციელებს და ზიანს მიაყენებდა მას“. ნერუმ თქვა, რომ ინდოეთმა მიიღო კოლომბოს კონფერენციის მონაწილე ქვეყნების წინადადებანი, რომელიც მოწვეულია იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს სასაზღვრო უთანხმოებათა მშვიდობიან მოწესრიგებას ორ ქვეყანას შორის, და განაცხადა, რომ ჩინეთის მიერ ამ წინადადებათა უშენიშვნოდ მიღება ხელს შეუწყობს მოლაპარაკებას ორ ქვეყანას შორის, რათა ურთიერთგაგების ვითარებაში მოწესრიგდეს სასაზღვრო კონფლიქტი.

გაისნა ლაიფციგის ბაზრობა

ლაიფციგი. (საკდესი). 1 სექტემბერს აქ გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობს 55 სახელმწიფოს 6.500 ფირმა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, მათ შორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვილი შტოფმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ლოტარ ბოლცმა, ვაჭრობის მინისტრმა იულიუს ბალკოვმა უცხოეთის მთავრობისა და სავაჭრო დელეგაციებთან ერთად პირველმა დაათვალიერეს ბაზრობის ჩვიდმეტივე პავილიონი.

ნათელი აზრის უკვდავება

კაცობრიობის გენიალური ადამიანის—ლენინის დიდი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია მისი დროებითი პოლიტიკური ემიგრაცია პოლონეთში. ეს იყო პერიოდი, როდესაც რუსეთში რევოლუციური მოძრაობა აღმავალი გზით მიდიოდა და მისი ხელმძღვანელობისათვის, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო დიდი ბელადი კრაკოვს გაემგზავრა, ხოლო შემდეგ პორონინოში.

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინათ.

ამ თარიღს პოლონელი ხალხი ყოველწლიურად აღნიშნავს. და ამჯერადაც 50 წლისთავზე ვარშავის ვ. ი. ლენინის მუზეუმმა ამ თარიღს მიუძღვნა სპეციალური გამოფენა „ლენინი პოლონეთში“.

ეს მოძრავი ექსპოზიცია ამჟამად საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაშია.

გასულ კვირას აქ მოვიდნენ ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოფენა საზეიმოდ გახსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ა. კელენჯერიძემ. პოლონეთში დიდი ბელადის რევოლუციური მოღვაწეობის ძირითად მომენტებს შეეხო თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი ვ. მერკვილაძე. ექსპოზიციის ანოტაცია დამსწრეთ გააცნო და მის მნიშვნელობაზე ილაპარაკა სსრ კავშირში პოლონეთის საელჩოს მრჩეველმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრმა ვ. პაშკოვსკიმ.

ფოტოდოკუმენტები და ფოტოილუსტრაციები, პოლიტიკური პლაკატები, ვ. ი. ლენინის შრომების პოლონური გამოცემები, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები — აი ის ძირითადი მასალა, რომელიც მოგვითხრობს იმაზე, თუ ლენინის იდეებისადმი ერთგულება რა ძალა იყო პოლონელი ხალხისათვის რევოლუციურ ბრძოლაში, ახალი სახალხო სახელმწიფოს მშენებლობაში.

გამოფენის ძირითადი ნაწილია ისტორიულ-დოკუმენტური ექსპოზიცია თემაზე „ლენინი პოლონეთში“, რომლის სტენდები დამთვალიერებლებს აცნობენ პოლონელი და რუსი სოციალ-დემოკრატების ურთიერთთანამშრომლობას XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ვ. ი. ლენინის თემა უშრეტი წყაროა პოლონეთის პოლიტიკური პლაკატისტებისათვის. გალერიაში ბევრ საინტერესო პლაკატს ნახავთ, რომელთა ავტორები არიან ვოიცეხ ფანგორი, ტადეუშ კულისევიჩი, ერიკ ლიპინსკი, მეჩისლავ ბერმანი და სხვ.

პოლონელ ფერმწერლებსა და გრაფიკოსებს თავიანთი პალიტრა არაერთხელ დაუთმიათ დიდი ბელადის სახის შემოქმედებითი ძიებისათვის. რამდენიმე მათგანს გამოფენის სტენდებზეც ვხედავთ.

პოლონეთში მოეწყო ნორჩ მხატვართა კონკურსი თემაზე — პოლონეთის ბავშვები ლენინის შესახებ. გულმოდგინედ უმუშავნიათ პატარებს, და აი ჩვენს წინ არის მათ შორის გამარჯვებულთა საუკეთესო ნამუშევრები.

ათვალიერებთ გამოფენას და გრძნობთ, რაოდენ სათუთად და სიყვარულით ინახავს პოლონელი ხალხი მოგონებას ვ. ი. ლენინზე, როგორი ერთგულია იგი ლენინიზმის უკვდავი იდეებისა თავისი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი რ. ფრუთაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, პარტიული და საბჭოთა მოღვაწენი, თბილისის საზოგადოების წარმომადგენლები.

* * *

სურათზე: ვარშავის ვ. ი. ლენინის მუზეუმის დირექტორი იადვიგა ლიუდვინსკაია დამთვალიერებლებს აცნობს გამოფენის ექსპონატებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

არ უნდა მივუკვდეს არც ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა

მინა ერთი, მოსავალი კი—სხვადასხვა

მანქანამ სოფელ მინაძესთან ცენტრალური გზიდან გადაუხვია და მდინარე ურავლის ვიწრო ხეობას შეუყვა. გზა მთის მდინარესაით ხეობაში იკლაკნებოდა, მძღოლი წარამარა სიგნალს აძლევდა, ფრთხილობდა, რომ მოსახვევში დიატომიტით დატვირთულ სპარგო მანქანებს არ შესწახებოდა. ბუჩქებით დაფარული გზის ნაპირები წვრილი ნეგომის წვეთებით ინამებოდა მზის სიცილში. ღრუბლებს კი ქალთები აეკრიფა. სწორედ ამისთანა ამინდზე ამბობენ — „მზე პირს იბანსო“. მზისა რა მოგახსენოთ და გზის პირას გამტვერიანებული ხეების ფოთლები კი ნამდვილად პირს იბანდნენ, მზეზე ელვარებდნენ და კეკლუცობდნენ.

ვიწროობას მალე თავი დავაღწიეთ და თვალწინ ფერდობებზე შეფენილი და ბალებში ჩაფლული სოფლები გადაგვეშალა, ზემოდან წიწვნარი ტყე რომ გადმოჰყურებდათ.

ურავლის ხეობაში ოთხი კოლმეურნეობაა: მუსხი, ურაველი, ხეოთი და ანდრიაწმინდა. ამათგან მხოლოდ ანდრიაწმინდა ჩამორჩება. ჩვენც იქით მივდიკართ, გვაინტერესებს გავიგოთ, რაშია საქმე, რატომ ჩამორჩნენ ანდრიაწმინდელები.

ანდრიაწმინდაში უსაქმურები მომრავლდნენ. უსაქმურობა კი ყოველივე უკეთურობის წყაროა. უსაქმურები მხოლოდ ჩივიან. უჩივიან ყველას. ამის შედეგად ამ ბოლო დროს იქ თითქმის ყოველწლიურად იცვლება თავმჯდომარე, გამგეობა. მდგომარეობა კი უცვლელი რჩება.

ერთნაირი პირობები აქვთ ხეოთსა და ანდრიაწმინდას. ზღვის დონიდან ორივე ერთნაირ სიმაღლეზეა, ორივე მთაგორიანია, ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე არიან, შედეგი კი სხვადასხვა აქვთ.

ხეოთში 72 კომლი ცხოვრობს და 133 შრომისუნარიანი კოლმეურნეა. ანდრიაწმინდაში კი 98 კომლი ცხოვრობს და 208 შრომისუნარიანი წევრია.

ორივე კოლმეურნეობაში მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობაა. ერთიც და მეორეც მისდევს მემინდვრეობას. მაგრამ მეურნეობის ამ დარგში მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ხეოთელებს უფრო ცოტა სახნავ-სთესი ფართობი აქვთ, ანდრიაწმინდელებს კი თოთქმის სამნახევარჯერ მეტი, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ანდრიაწმინდელებმა პირუტყვისათვის უფრო ბევრი საკვები დააგროვონ. მათ საერთოდ მეტი მოსავლის მიღება შეუძლიათ.

ხეოთელებს საზამთრო საძოვრები არ გააჩნიათ, ამიტომ თავიანთი ცხვარი სხვა კოლმეურნეობას მსხვილფეხა პირუტყვში გაუცვალეს და ახლა ცხვარი არა ჰყავთ. ანდრიაწმინდელებს კი კარგი საზამთრო საძოვრები აქვთ და ცხვარიც ბლომად ჰყავთ. სხვათა შორის, მეცხვარეობა ანდრიაწმინდაში ცუდად არ გამოიყურება.

ასე რომ თუ მათს ბუნებრივ პირობებს დაუკვირდებთ, ანდრიაწმინდა თითქოს ეკონომიურად უფრო ძლიერი და მოწინავე კოლმეურნეობა უნდა იყოს. სინამდვილეში კი ასე არ არის. გასულ წელს ანდრიაწმინდის კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა 51.591 მანეთი შეადგინა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 104.591 მანეთისა, ე. ი. გეგმა 50 პროცენტითაც ვერ შეასრულეს. ამიტომ შრომადღის ღირებულება იქ მხოლოდ 60 კაპიკი იყო, ხეოთის კოლმეურნეობისა კი — 1 მანეთი და 32 კაპიკი.

როგორ გამოიყურებიან ისინი ახლა?

ხეოთის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე **გ. ვეშაგური**) გეგმით გათვალისწინებული 360 სული მსხვილფეხა პირუტყვის ნაცვლად ჰყავს 405. აქედან მეწველი ძროხაა 98 ნაცვლად 87-სა. ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია.

რძის წარმოების წლიური გეგმა საერთოდ 122 ტონას ითვალისწინებს, თითო ძროხაზე კი — 1.400 კილოგრამს. 25 აგვისტოსათვის უკვე აწარმოეს 110 ტონა რძე, საშუალოდ ერთ ძროხაზე კი — 1.200 კილოგრამი. კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა უკვე შეასრულა.

180 ტონამდე ბალახის მწვანე მასა დასილოსებულ და კიდევ 40 ტონის დასილოსებას აპირებენ, რითაც 20 ტონით გადაჭარბებენ გეგმას. თივა ნაცვლად 80 ტონისა უკვე დამზადებული აქვთ 150 ტონა და ერთ ამდენს კიდევ დამზადებენ.

კარტოფილი გასულ წელს 20 ჰექტარზე ეთესათ. ჰექტარზე 150 ცენტნერის ნაცვლად 153,5 ცენტნერი მიიღეს. წელს კარტოფილის ფართობი კიდევ 5 ჰექტარით გაადიდეს და ჰექტარზე 200 ცენტნერის მიღებას ვარაუდობენ.

ახლა დავუკვირდეთ, რა მდგომარეობაა ანდრიაწმინდის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ი. ინასარიძე**).

მსხვილფეხა პირუტყვი გეგმით გათვალისწინებული 440 სულის ნაცვლად ჰყავთ 451. აქედან 125 მეწველი ძროხა, გეგმითაც ამდენი უნდა იყოს, ე. ი. პირუტყვის სულადობის გეგმა გადაჭარბებულია, მაგრამ როგორია აქვთ საქმე რძის წარმოებაში?

ჯერ ერთი, ანდრიაწმინდის კოლმეურნეობას წველადობის წლიური გეგმა თვითეულ ძროხაზე 1.100 კილოგრამ რძეს ითვალისწინებს, ე. ი. ხეოთთან შედარებით 300 კილოგრამით ნაკლებს, მაგრამ სამარცხვინო ის არის, რომ ანდრიაწმინდელი მეცხოველეები ამ ისედაც შემცირებულ გეგმასაც ვერ ასრულებენ. 20 აგვისტომდე თვითეულ ძროხაზე 600 კილოგრამი რძის მიღება ძლივს მოახერხეს. წელს ისეთი ამინდები იყო, ქვაზეც კი ბალახი ამოვიდა, ანდრიაწმინდელები კი ისევ საძოვრებს უჩივიან. ალბათ ეს ჩვეულებად ექცათ. გაიძახიან, საძოვრები არ გვივარგო, საქონლის სასმელი წყალი შორსა გვაქვსო, ამავე დროს იმასაც დასძენენ, ჩვენს საძოვრებს ცხოველ-მზადების კანტორის პირუტყვი ანადგურებსო.

შ ე მ ო ფ ვ ლ ე ბ ა გვიჩვენა, რომ აგვისტოს ბოლოსათვის გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ანდრიაწმინდელებმა 171 ცენტნერით შეამცირეს რძის საერთო წარმოება, მაშინ როცა ხეოთელებმა 40 ცენტნერით გაადიდეს.

დაუჯერებელია ანდრიაწმინდის კოლმეურნეობის ფერმის გამგის **მ. ინასარიძის** ნათქვამი, რძის ცხიმიანობა 2,5 პროცენტს შეადგენსო. როცა ეს საეჭვოდ მივიჩნიეთ, დაუმატა, ეს მგონი გაზაფხულის თვეების მონაცემიაო და აქამდე ალბათ ერთი პროცენტით აიწევდეო.

ვ ა რ ა ს ი ა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფინანსებს, ფულად-საკრედიტო სისტემას, სამეურნეო ანგარიშს და სხვა ეკონომიურ კატეგორიებს, რომლებიც მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული ქვეყნის სამეურნეო განვითარების ტემპების დაჩქარებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

მარტო ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საშალვანი ხდება ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 50 პროცენტის განაწილება და გადანაწილება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და სხვა სახელმწიფოებრივ საჭიროებათა დასაფინანსებლად, მოწმობს სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდეს მნიშვნელობას.

ამასთან ცნობილია, რომ საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ცხრა მეათედზე მეტი შემოდის სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისგან სხვადასხვა გადასახდელების სახით, რომელთა შორის მთავარია ბრუნვის გადასახადი და მოგების ანარიცხები. შემოსავლის ეს სახეობანი ერთად აღებული შეადგენენ ბიუჯეტის შემოსავალში 77,1 პროცენტს. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა სახელმწიფო, კოოპერაციულმა და საკოლმეურნეო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა 1963 წელს ბიუჯეტში უნდა შეიტანონ 700 მილიონ მანეთზე მეტი.

ბიუჯეტის შემოსავლის გეგმების წარმატებით შესრულების ძირითადი პირობაა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულება, რომლის დროსაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას დაგროვების დავალებების აუცილებლად მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. ეს გარემოება სამეურნეო ხელმძღვანელებისგან მოითხოვს გადაჭრით ამაღლონ ეკონომიური მუშაობა, რაც მიმართულ უნდა იქნას მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოვლენებისა და მობილიზაციისაკენ, უმკაცრესი ეკონომიისაკენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები ბრუნვის გადასახადსა და მოგების ანარიცხებს, ასევე კოოპერაციული სისტემის ორგანიზაციები თავიანთ გადასახდელებს ბიუჯეტში თვითონვე გაიანგარიშებენ და შეიტანენ დაწესებულ ვადებში, ხოლო საფინანსო ორგანოები მოწოდებული არიან კონტროლი გაუწიონ ბიუჯეტის კუთვნილ გადასახდელთა სწორად განსაზღვრას და დროულად და სრულად შეტანას.

სახალხო მეურნეობის საბჭომ, რომელიც ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადსა და მოგების ანარიცხების ძირითადი გადამხდელია, აგრეთვე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მათს სისტემაში საგადასახდელო დისციპლინის განმტკიცებისათვის. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დაავალა სამმართველოების უფროსებსა და ტრესტების მძართველებს გაძლიერონ კონტროლი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი მათ მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულების საქმეში, გამოავლინონ ბიუჯეტში გადასახდელთა დაგვიანებით შეტანაში კონკურენტული დამნაშავენი და მკაცრად დასაჯონ. იხილნი. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საგადასახდელო და საანგარიშგებო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანამ (დირექტორი ამხ. ცინცაძე) 1963 წლის იანვრიდან მაისამდე მოგების ანარიცხების სახით ბიუჯეტში დაგვიანებით შეიტანა 78,4 ათასი მანეთი, რაც მთლიანად გადახდილი თანხის 80 პროცენტს აღემატება. ბათუმის ხის დამამუშავებელმა კომბინატმა (დირექტორი ამხ. ჩიხლაძე) ამავე პერიოდის განმავლობაში მოგების ანარიცხების მთელი თანხის 63 პროცენტი დაგვიანებით შეიტანა ბიუჯეტში.

თბილისის საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ნემსაძე). 1962 წელს 13-ჯერ დაარღვია გადახდის ვადა და დაგვიანებით გადაიხადა 212,4 ათასი მანეთი, რისთვისაც საურავის სახით გადაიხადა 2 ათასი მანეთი. ამავე საწარმომ 1963 წლის პირველ კვარტალში ვადის დარღვევით გადაიხადა 75 ათასი მანეთი.

თბილისის № 3 მექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. გორგასლიძე) 1962 წელს 35-ჯერ დაარღვია გადახდის ვადა და დაგვიანებით გადარიცხა 436 ათასი მანეთი, რაც წლის განმავლობაში შეტანილი თანხის 55 პროცენტს შეადგენს. ამავე საწარმომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 12-ჯერ დაარღვია დაწესებული ვადა და დაგვიანებით გადაიხადა 128 ათასი მანეთი.

ბიუჯეტში სახელმწიფო გადასახდელთა გადახდევინების წესები როგორც ორგანიზაციებისაგან, ისე პირებისაგან, ითვალისწინებენ მათს გარკვეულ პასუხისმგებლობას გადახდის დაგვიანებისათვის, კერძოდ, დაწესებულია საურავის გადახდა ყოველ ვადგადაცილებულ დღეზე. მიუხედავად იმისა, რომ გადახდილი საურავები მსხვილ თანხას შეადგენს და ეს თანხები როგორც უნაყოფო ხარჯები მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, ამცირებს დაგროვებას და აუარესებს საწარმოებისა და ორგანიზაციების რენტაბელობის მაჩვენებლებს, სამწუხაროდ, ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, როგორც ჩანს, ეს გარემოება ნაკლებად ეღელვებს.

საქართველოს კონსერვტრესტის საწარმოების კუთვნილი თანხა არ შედის ბიუჯეტში მაშინაც კი, როცა ორგანიზაციას ბანკში ანგარიშზე დიდი თანხები აქვს. ამ პირობებში ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შეუსრულებლობა მხოლოდ მათი ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობით აიხსნება. ასეთ მძღმარეობას ადგილი აქვს ხოსოლმის ღუღის, ღვინის, პლასტმასის ქარხნებში, საგალანტერეო ფაბრიკაში და მაცივარში, თბილისის პლასტმასის და № 2 მექანიკურ ქარხნებში, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში და სხვ.

ბათუმის ელექტრონაგებობათა სამმართველოს ბიუჯეტში გადასახდელების გადარიცხვის შესახებ წელს ერთხელაც არ მიუცია ბანკისათვის დავალება, და მთელი გადახდილი თანხა, რაც 49.580 მანეთს შეადგენს, ბათუმის ქალაქის ფინანსის მიერ ჩამოწერილია იძულებითი წესით.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ასრულებს ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებებს აგრეთვე ვაჭრობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი „გიპროტორგი“ (დირექტორი ამხ. ფოცხიშვილი).

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით რესპუბლიკის საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში გაუმჯობესდა საანგარიშგებო დისციპლინა. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ კვლავ აქვს ადგილი წლიური ანგარიშებისა და ბალანსების დაწესებულ ვადებში წარმოუდგენლობის ფაქტებს. 1962 წლის წლიური ანგარიშები ფინანსთა სამინისტროში დაგვიანებით წარადგინეს საქართველოს თამბაქოს ტრესტმა, პურპროდუქტების მთავარმა სამმართველომ, საქეთერზეთების ტრესტმა, კონსერვტრესტმა.

იყო შემთხვევა, რომ დაგვიანებით მივიღეთ კვარტალური ანგარიშები. ეს იწვევს ანგარიშების მიხედვით დამატებით დარიცხული თანხების ბიუჯეტში დაგვიანებით ამოღებას. მაგალითად, საქმინხილწყლების ტრესტის მიერ 1963 წლის პირველი კვარტალის ანგარიშის 13 დღით დაგვიანების გამო, დამატებით დარიცხული გადასახდელი 103 ათასი მანეთი ბიუჯეტში შემოვიდა 27 დღის დაგვიანებით. ტრესტ „საქპურკონდიტერის“ მიერ პირველი კვარტალის ანგარიში 22 დღის დაგვიანებით იქნა მიღებული, ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის კუთვნილი თანხა — 70,5 ათასი მანეთი ტრესტმა ჭარხნებზე გაანაწილა 28 დღის დაგვიანებით.

საჭიროა გადაჭრით განვამტკიცოთ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში სახელმწიფოებრივი, ფინანსური და საანგარიშგებო დისციპლინა, გავაძლიეროთ მუშაობა საწარმოო-საფინანსო გეგმებით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დაგალებათა შესრულებისათვის. უნდა ვიბრძოდეთ წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში ზედმეტი, უნაყოფო ხარჯების შემცირებისათვის და ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირებისათვის, დაგროვების და ბიუჯეტში გადასახდელთა გეგმების შესრულებისათვის. ამასთან ეს გადასახდელები ბიუჯეტში უნდა შემოდიოდეს დაწესებულ ვადებში და გადახდევინების იძულებითი ზომების მიღებულად.

ამასთან საფინანსო ორგანოებს ევალებათ თვალყური ადევნონ და კონტროლი გაუწიონ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობას და უზრუნველყონ სახელმწიფო შემოსავლის ყველა სახეობაში უნარჩენო შემაობა არა მარტო საანგარიშო ვადების, არამედ საგადასახდელო ვადების მიხედვით.

საფინანსო ორგანოებს აგრეთვე ევალებათ ღრმად ჩასწვდნენ საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობას და იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაციები გარკვეულ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან მათგან დაზოგულ ფულის ბიუჯეტის ბალანსის გამო, სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილება და რეალური დახმარება გაუწიონ მათ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სამინისტროთა და უწყების ხელმძღვანელებს დააკისრა პირადი პასუხისმგებლობა დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის კუთვნილი შემოსავლის დროულად და მთლიანად შეტანისათვის.

საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე მათი ზემდგომი რგოლის სამეურნეო ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში კუთვნილი თანხების დაგვიანებით შეტანა ხელს უშლის და აფერხებს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროულ დაფინანსებას. ამიტომ პირადად უნდა დაწესონ მკაცრი კონტროლი იმაზე, რომ ყველა გადასახდელი დაწესებულ ვადებში დაუგვიანებლად შედიოდეს ბიუჯეტში.

საფინანსო დისციპლინის დარღვევათა ფაქტების აღსაკვეთად მნიშვნელოვანი დანაშაულის გაწვევა შუძლიათ საფინანსო აქტივს და საზოგადოებრიობას. ჩვენ უკვე გვაქვს. მაგალითები, როცა საზოგადოებრიობის დახმარებით გამოვლენებულია სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტები და მიღებული ზომების შედეგად ეს დარღვევები სწორდება. მომავალში საფინანსო ორგანოებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ საზოგადოებრიობა საკონტროლო მუშაობაში.

ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ორგანოების მხრივ ხელმძღვანელობა გარდაიქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ეკონომიური საკითხების გადაწყვეტას. ამ საკითხთა შორის ერთ-ერთია საგადასახდელო დისციპლინის განმტკიცება საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში. ექვი არ არის, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ დახმარების, თვით საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის ყოველმხრივ გაუმჯობესების გზით, საფინანსო ორგანოების მხრივ ეკონომიური და საკონტროლო მუშაობის შემდგომი გაძლიერების შედეგად, შეეძლებთ გადაჭრით განვამტკიცოთ საგადასახდელო და საფინანსო დისციპლინა.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, სამშაბათი, 8 სექტემბერი, 1963 წ.

ენერგეტიკოსთა წარმატება

ქ უ თ ა ი ს ი. (საკ. კორ.). გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის კოლექტივმა, რომელიც წლის დამდეგიდან უწყვეტად და უავარიოდ მუშაობს, ვადაზე ერთი კვირით ადრე გადაჭარბებით — 104,1 პროცენტით შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების რვა თვის გეგმა. განვლილ პერიოდში საკუთარ მოხმარებაზე ელექტროენერგიის ხარჯვა შემცირდა 1,5 პროცენტით, ამასთან მიღებულია ზეგეგმითი ეკონომია.

კასკადის კოლექტივის გადაწყვეტილებაა წლიური დავალების ვადამდე შესრულებით შეხვდეს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას.

მწყობრშია ახალი ქარხანა

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). დაბა ვანიდან ათიოდე კილომეტრზე, სოფელ ინაშაურში თაბაშირის მდიდარი საბადოებია. ამ ნედლეულის ბაზაზე მაიაკოვსკის საკოლმეურნეოგათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭომ დაბა ვანში ააგო და საეკასკლოატაციოდ გადასცა თაბაშირის ქარხანა.

ახალმა ქარხანამ უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია.

სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

31 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ რა მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები სოციალისტური საკუთრების დაცვაში, მეტრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ.**

მოხსენება გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ლვინჯილიამ,** აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. მაკარიძემ,** სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის შემსრულებელმა **გ. სვანიძემ,** ქალაქ ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ა. იობიძემ,** ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლემ **ვ. ყვანიამ,** საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრმა **ი. სუპატაშვილმა,** ქალაქ რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. გაბუნიამ,** ცხაკაიას სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. ტორჩინავამ,** თელავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. მირიმანაშვილმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ქაჯაიამ,** საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ბერძენიშვილმა.**

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ა. თ. გორკინმა.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. ა. კვეკვეძემ.** (საქმენი).

პარტიული ქრონიკა

გიუროს სხდომამ იმსჯელა...

გუდაუთი. (საკ. კორ.). ამას წინათ გუდაუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიუროს გამსვლელი სხდომა გაიმართა ზონის ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში—„ლიძავაში“.

კოლმეურნეობა „ლიძავა“ წლების მანძილზე ვერ ასრულებს სხვადასხვა კულტურის მოსავლის გეგმებს. ცუდი მუშაობის შედეგად შარშანაც თამბაქოს, სიმინდის და სხვა კულტურების მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს. ჩამორჩენილია მეცხოველეობა. უხეშად ირღვევა სასოფლო-მეურნეო არტელის წესდება. 28 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწის ფართობი მიფიფვნულია აქვთ კოლმეურნეებს. დარღვეულია საფინანსო დისციპლინა.

კოლმეურნეობაში არ იგრძნობა კომუნისტთა ავანგარდული როლი. აქ იშვიათად იწვევენ პარტიული ორგანიზაციის კრებებსა და ბიუროს სხდომებს. აგიტატორები დუმან. იშვიათად ხორციელდება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებები. პარტიული ორგანიზაციისადმი კონკრეტულ დახმარებას ვერ აბორციელებს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი ა. სულავა.

პარტიული კომიტეტის ბიუროს დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებისათვის, ხოლო კოლმეურნეობის საერთო კრებას რჩევა მისცა დაკისრებული მოვალეობისაგან გაათავისუფლოს გამგეობის თავმჯდომარე ვ. ჯაკონია.

ენერგეტიკა

სახელმწიფოს ბიუჯეტს—სახელმწიფოებრივი ზრუნვა

ვ. ტრაპაიძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე.

□

ბ ი უ ჯ ე ტ ი ს კუთვნილი თანხების დაგვიანებით გადახდის ფაქტები, ზოგიერთ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა განმარტებით, საწარმოების და ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობით აიხსნება. მაგრამ ასეთი მდგომარეობაც ხომ უმეტეს შემთხვევაში მათი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით არის გამოწვეული. ამასთან ცოტა როდია ფაქტი, როცა ბიუჯეტის კუთვნილი თანხა არ შედის ბიუჯეტში მაშინაც კი, როცა ორგანიზაციას ბანკში ანგარიშზე დიდი თანხები აქვს. ამ პირობებში ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შეუსრულებლობა მხოლოდ მათი ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობით აიხსნება. ასეთ მძღმარეობას ადგილი აქვს ხოსოლმის ღუღის, ღვინის, პლასტმასის ქარხნებში, საგალანტერეო ფაბრიკაში და მაცივარში, თბილისის პლასტმასის და № 2 მექანიკურ ქარხნებში, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში და სხვ.

ბათუმის ელექტრონაგებობათა სამმართველოს ბიუჯეტში გადასახდელების გადარიცხვის შესახებ წელს ერთხელაც არ მიუცია ბანკისათვის დავალება, და მთელი გადახდილი თანხა, რაც 49.580 მანეთს შეადგენს, ბათუმის ქალაქის ფინანსის მიერ ჩამოწერილია იძულებითი წესით.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ასრულებს ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებებს აგრეთვე ვაჭრობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი „გიპროტორგი“ (დირექტორი ამხ. ფოცხიშვილი).

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით რესპუბლიკის საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში გაუმჯობესდა საანგარიშგებო დისციპლინა. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ კვლავ აქვს ადგილი წლიური ანგარიშებისა და ბალანსების დაწესებულ ვადებში წარმოუდგენლობის ფაქტებს. 1962 წლის წლიური ანგარიშები ფინანსთა სამინისტროში დაგვიანებით წარადგინეს საქართველოს თამბაქოს ტრესტმა, პურპროდუქტების მთავარმა სამმართველომ, საქეთერზეთების ტრესტმა, კონსერვტრესტმა.

იყო შემთხვევა, რომ დაგვიანებით მივიღეთ კვარტალური ანგარიშები. ეს იწვევს ანგარიშების მიხედვით დამატებით დარიცხული თანხების ბიუჯეტში დაგვ

უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა

ყველა კონტინენტის ასეულ მილიონობით ადამიანის ყურადღების ცენტრში ისევ არის აგვისტოს დამდეგს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

მთელმა საბჭოთა ხალხმა, მსოფლიო საზოგადოებრიობამ, მიუხედავად ხელშეკრულების შეზღუდული ხასიათისა, სამართლიანად შეაფასა იგი, როგორც გონების გამარჯვება ომის უგუნურებაზე, როგორც დოკუმენტი, რომელიც მთელი კაცობრიობის საარსებო ინტერესებს გამოხატავს. ამის დადასტურებაა ოთხმოცზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ხელმოწერა, რომლებიც დღეისათვის შეერთდნენ ხელშეკრულებას.

მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხალხებს მიაჩნიათ თავიანთ იმ ღონისძიებათა პირველ წარმატებად, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება, განიარაღება და მტკიცე მშვიდობა. საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილ ნების ადამიანი ერთხმად გამოთქვამს: ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტია. ამჟამად ყველაზე მთავარია არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, არ შეგწყვიტოთ ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

საბჭოთა ხალხის ნებას რომ გამოხატავს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად წარადგინა ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ეს წარდგენება და ხელშეკრულება დასაკვნისათვის გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს.

ამ კომისიების სხდომა გაიმართა 31 აგვისტოს კრემლის დიდი სასახლის ეკატერინეს დარბაზში. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ საბჭოთა პარლამენტის დეპუტატები — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების წევრები. ხალხო რესპუბლიკამ და საფრანგეთმა. მსოფლიოს ბედისათვის, კაცობრიობის მომავლისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილეს მათ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთერთი უხუცესი დეპუტატი, ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ამხ. ო. ვ. კუუსინენი. კომისიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ და სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. დ. მორჩხოვმა. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე პალატების თავმჯდომარენი ი. ვ. სპირიდონოვი და ი. ვ. პეიე.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების წევრებმა მოისმინეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ **ა. ა. გრომიკოს** მოხსენება. მან მთავარი ყურადღება დაუთმო საკითხს, თუ რა რეაქცია გამოიწვია მსოფლიოში ხელშეკრულებამ — საერთაშორისო ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანმა დადებითმა აქტმა, იმას, რომ გაიმართა დისკუსიები ამ საკითხზე სხვადასხვა ქვეყანაში, და შეეხო ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესს.

საერთო რეაქცია მსოფლიოში, თუ მთლიანად განვიხილავთ, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, ფრიად დადებითია. სწორად და კარგად იქნა შეფასებული ხელშეკრულების ჰუმანური მხარეცა და ამ აქტის პოლიტიკური მხარეც. ხელშეკრულება შეფასებულია, როგორც რეალური ნაბიჯი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

ის, რომ სახელმწიფოთა ორ მესამედზე მეტმა უკვე ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, თავისთავად მეტყველებს. დიდი სახელმწიფოებიდან ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეს მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და საფრანგეთმა.

შეეხო რა ჩინელ ხელმძღვანელთა პოზიციას, რომელთაც არ სურთ ანგარიში გაუწიონ ფაქტებსა და ლოგიკას, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია კვლავაც განვუმარტოთ საზოგადოებრივ აზრს ნამდვილი მდგომარეობა, ცხადვყოთ ამ პოზიციის დიდი მცდარობა.

ვაანალიზებ რა შექმნილ ვითარებას და ხელშეკრულების განხილვის მსვლელობას დახარჩენ ქვეყნებში მის რატიფიკაციასთან დაკავშირებით, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, ფიქრობ, რომ ძალიან კარგი საქმე გაკეთეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ. კომისიები სწორად მოიქცევიან, თუ ურჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ეს ხელშეკრულება იმის სრული შეგნებით, რომ იგი ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი აქტია, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციას ჯეროვნად შეაფასებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და ამას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა საგარეო პოლიტიკისათვის — მშვიდობის პოლიტიკისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისათვის.

დასასრულ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა ორივე კომისიის წევრებს მიიღონ დადგენილება იმის შესახებ, რომ რჩევა მიეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დამტკიცოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

დაიწყო ხელშეკრულების განხილვა. პირველი გამოვიდა კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი დეპუტატი **ზ. ვ. პუშკარიოვი.**

ყოველი ადამიანის, რომელიც უფრთხილდება კაცობრიობის მომავალს, ზრუნავს იმისათვის, რომ დედამიწაზე ჰკუადოდეს მშვიდობიანი შრომა და ადამიანები არ ისუნთქავდნენ რადიოაქტივობით მოწამლულ ჰაერს, თქვა მან, უდიდეს კმაყოფილებას იწვევს დადება მოსკოვის ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. მაგრამ ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ამ ხელშეკრულების დადება არ წყვეტს განიარაღების პრობლემას. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ამ საარსებო პრობლემის გადაჭრის გზით სვლა უფრო ადვილია იმ ვითარებაში, როცა არ ფეთქდება ატომური და წყალბადის ბომბები, თუნდაც ექსპერიმენტული.

სავსებით ვუპერ მხარს მოსკოვში დადებულ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, რადგანაც იგი შეეხებამება ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს, და მომაჩნია, რომ ამით იხსნება გზა სხვა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის, განაცხადა დასასრულ დეპუტატმა ზ. ვ. პუშკარიოვამ.

ა. ა. ა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ლამაზდება აბასთუმანი

ამ დღეებში დამთავრდა აბასთუმნის რესპუბლიკური ტუბერკულოზური საავადმყოფოს მთავარი კორპუსის რეკონსტრუქცია და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა. საავადმყოფოს კორპუსს ამჟამად 150 საწოლი აქვს. იგი აღჭურვილია ახალი სამკურნალო დანადგარებითა და ხელსაწყოებით.

ახლა აქ თავიანთი ჯანმრთელობის აღსადგენად ჩამოვლენ მშრომელები ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან და განკურნების შემდეგ კვლავ დაუბრუნდებიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასა და ცხოვრებას.

შ. პერანიძე.

ქართული ესტრადა სოჭში

ჟ. სოჭის პარკ „რივიერაში“ გაიმართა თბილისის ესტრადის საღამო. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მსახიობებმა. კონცერტის პროგრამაში იყო ჩვენი ცნობილი კომპოზიტორების რევაზ ლაღიძისა და გიორგი ცაბაძის ნაწარმოებები.

კონცერტის ორივე განყოფილება მიჰყავდათ მ. ფეიძესა და მ. ხერხეულიძეს.

გ. საყვარელიძე.

ახალი შენოგები

ჭდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ო. ჭითანავა) სოფელ ჩხორიაში (ზუგდიდის რაიონი) ააშენა აფთიაქის ახალი შენობა. სოფელ კორცხელის კოლმეურნეობა „კომუნიზმმა“ (თავმჯდომარე ი. თორდია) ბაშის უბანში ააგო და სოფლის კოოპერატივს გადასცა მაღაზიის ახალი კეთილმოწყობილი შენობა.

გ. ალშიბაია.

ახალმშენებლობა სოფლად

ხაშურის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭო ფართო მშენებლობას აწარმოებს. შენდება პირუტყვის საღგომები, საცხოვრებელი სახლები, წყალსადენი. წრომის კოლმეურნეობაში მალე დამთავრდება მეცხოველეობის ფერმა, რომელიც განკუთვნილია 104 სული ძროხისათვის. ასევთვე პირუტყვის საღგომები შენდება სოფლებში წაღვლში, საკირეში, ჭობიხევში, კეხისჯვარში და ღირბის კოლმეურნეობაში.

რაიონის სამ სოფელში შენდება მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები.

დიდხანს აწუხებდა უწყლობა თაგვეთელებს, რომლებსაც შორიდან უხდებოდათ სასმელი წყლის ზიდვა. ახლა თაგვეთის კოლმეურნეობაში გამოყვანილია წყალსადენი — ოთხ კილომეტრზე ჩაწყვეს მილები, სოფელში დადგეს ონკანები. 40-ზე მეტი კოლმეურნის კარიდამასა და სოფლის საზოგადოებრივ ადგილებში ონკანებში უკვე მოჩქეფს მთის ანკარა წყალი.

ყველა მშენებლობა გათვალისწინებულია დამთავრდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავისათვის.

დ. ფარეიმუზოვი.

ძველი აკადემიის ნაფუძარზე

სახალხო უნივერსიტეტის კეთილშობილური ნაბიჯები

წელს გაზაფხულზე თელავის რაიონის სოფელ იყალთოში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამავე სოფლის ღვინის ქარხნის მეღვინე-ტექნოლოგი გ. შათირიშვილი.

დაარსების დღიდან სახალხო უნივერსიტეტმა ბევრი საინტერესო ღონისძიება განახორციელა. ამას წინათ მისი ინიციატივით იყალთოს აკადემიის ნანგრევებთან გაიმართა დიდი სახალხო ზეიმი. ამ ზეიმის თემა იყო „მინდა ვიცოდე ყველაფერი“.

იყალთოს ‘შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. არსენიშვილმა ილაპარაკა კოლმეურნეობის პერსპექტივებზე. მოხსენება თემაზე „შვიდწლიანი გეგმა და რაიონის პერსპექტივები“ წაიკითხა სოფლის მეურნეობის თელავის საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანმა თ. ბადურაშვილმა; „ტელევიზია ხალხის სამსახურში“ —მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკ. ძიძიგური. საერთაშორისო მდგომარეობაზე ლექცია წაიკითხა პროფესორმა დ. ენუქიძემ; ტექნიკის როლზე კომუნიზმის მშენებლობაში ისაუბრა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა დ. მშვენიერაძემ; კოსმოსზე და მისი ათვისების საკითხზე ლექცია წაიკითხა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ბალავაძემ, ხოლო თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებზე ილაპარაკა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექტორმა ბ. პაიჭაძემ.

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტს განზრახული აქვს გამართოს ზეპირი პასუხების საღამოები.

სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლო და კეთილშობილურმა ღონისძიებებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია.

მ. ცაკაშვილი,
პედაგოგი.

„იმეგობრეთ, მსოფლიოს გავშვებო!“

მოსკოველი ნორჩი მოციგურავენი თბილისში

კვირას, პირველ სექტემბერს, თბილისელებმა, პატარებმაც და დიდებმაც, სპორტის სასახლეში მეტად საინტერესო წარმოდგენა ნახეს...

მოსკოვის ბავშვთა ბალეტი ყინულზე მოყვარულთა ანსამბლია. ამ ანსამბლში 75 მოსწავლეა, მესამედან მეცხრე კლასამდე. 1961 წლიდან ნორჩებმა ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში უჩვენეს თავიანთი ხელოვნება. თბილისში ისინი პირველად არიან.

„იმეგობრეთ, მსოფლიოს ბავშვებო!“ ასე ჰქვია ნორჩ მოსკოველ მოციგურაოეთა ორსაათიან წარმოდგენას (რეჟისორი ი. კაზარინა, ქორეოგრაფი — ზ. ველიჩკო, მწვრთნელი რეპეტიტორი — ა. იაკოვლევი).

... მშვიდობის მტრედს ადამიანებისათვის ბედნიერება მოაქვს. ის მტრედი თავს დასტრიალებს გემ „მეგობრობას“, რომლითაც საბჭოთა ბავშვები სტუმრად მიემგზავრებიან თავიანთ პატარა მასპინძლებთან მსოფლიოს შორეულ ქვეყნებში. გემი ჯერ აფრიკას შემოუვლის გარშემო, შემდეგ ინდოეთში გაემგზავრება, იქიდან — კუბაში.

ნორჩი მოციგურავენი მთელ ამ ამბავს ცეკვის ენით მოუთხრობენ მაყურებელს.

სურათებზე: მარცხნივ — ი. ლავრენტიევა ასრულებს ცეკვას კინოფილმ „ჭრიჭინას“ მოტივებზე; მარჯვნივ — ფრაგმენტი კოსმოსური სიუიტიდან. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საჰაერო ანაზღაურებისათვის — ოკეანის ფსკერზე

... შემდეგ კი უცნაური რამ მოხდა: 26 აგვისტოს დილით, რომ ცა ქარიშხალი ჩადგა. გადარჩენილ ტრაულერთან მივიდა ამერიკის ბუქსირი „ვ-98“ და ოთხი კაცი გადასხა. მაგრამ მათ მალე მიატოვეს გემი. ხოლო კიდევ 30 წუთის შემდეგ ტრაულერი რატომღაც ჩაინთქა ზღვის მორევში. „სენტ ნიკოლასის“ დაღუპვის მიზეზი საიდუმლოებით მოცული რჩება.

ასე მთავრდებოდა ცნობა საბჭოთა მებადურების მიერ ატლანტიკაში ამერიკის ტრაულერის გადარჩენისა და მისი უეცარი დაღუპვის შესახებ, რაც „იზვესტიის“ გუშინწინდელ ნომერში გამოქვეყნდა სათაურით „დაღუპვა გადარჩენის შემდეგ“.

მაინც რატომ ჩაიძირა გემი, რომელსაც საფრთხე აღარ ელოდა? რატომ მოხდა, რომ გემი, რომელიც საბჭოთა მეზღვაურებმა ცეცხლის სმერჩს გამოსტაცეს, მორევმა ჩანთქა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სთხოვა გაზეთის კორესპონდენტმა თვალსაჩინო საზღვაო სპეციალისტებს.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს მთავარი საზღვაო რეკვიზორი ზღვაოსნობის უმაშროების დარგში პ. ნ. ვასილევსკი: ჩემთვის ამ ამბავში იდუმალი არაფერია. გემი თვითონ ვერ ჩაიძირებოდა. რა ძლიერიც უნდა იყოს ხანძარი, ლიითნის კორპუსი მთელი რჩება. აშკარაა, იმ ადამიანებმა, რომლებიც ტრაულერზე გადასხდნენ, კინესტონები გახსნეს და განზრახ ჩაძირეს გემი. მეორე კითხვა: რატომ გააკეთეს ეს? იქნებ იმიტომ, რომ ტრაულერის მფლობელს არ უნდა გადარჩენის საზღაური გადაიხადოს. არსებული საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად ზღვაზე დახმარებისათვის გარკვეული თანხას იხდიან. ამ ხელშეკრულებაში ნათქვამია: „თუ გადარჩენა არ მომხდარა, ანაზღაურება არ ხდება“. და ვინაიდან „სენტ-ნიკოლასი“ ჩაიძირა, გამოდის, რომ ყველაფერი მართლაც წყალმა დაფარა: გემი არ გადარჩენილა, მამ ლაპარაკი რაღა საჭიროა?

შეიძლება სხვა მიზეზებიც იყოს. გამორიცხული არ არის, რომ ტრაულერზე დადგმული იყო რაიმე ახალი ხელსაწყოები, კერძოდ, სატელევიზიო ხელსაწყოები ოკეანის სიღრმეში თვეზის აღმოსაჩენად, და ამერიკის შეერთებული შტატების მეზღვაურებს ეშინოდათ, რომ მათ ვიღაც გამოიყენებდა. მაგრამ ასეა თუ ისე. დიაგნოზი უდავოა: „სენტ ნიკოლასი“ ძალდატანებითი სიკვდილით დაღუპა.

ინჟინერ-კონტრ-ადმირალი ნ. პ. ჩიკერი: ვფიქრობ, რომ გემის პატრონმა განზრახ წაუყარდა ცეცხლი თავის გემს, შემდეგ კი ჩაძირა იგი, იმ ვარაუდით, რომ სადაზღვევო ანაზღაურებას მიიღებს. ასეთი შემთხვევები კაპიტალისტური ფირმების პრაქტიკაში საკმაოდ ჩვეულებრივია. ხოლო ტრაულერი თვითონ რომ არ ჩაძირულა, ეს აბსოლუტურად ცხადია.

განა ესაჭიროება კომენტარი ამ კომენტრებს? და მაინც „იზვესტია“ ამ ორი დღის წინათ საბჭოთა მაშველი გემის „ურაგანის“ მეშვეობით რადიოტელეგრაფით შეეკითხა ამერიკის ბუქსირ „ვ-98“-ის მეზღვაურს. პასუხი ჯერ არ არის.

(„იზვესტია“, 1-IX).

ჩემპიონობა ბურთების სხვაობით

კალინინგრადში დამთავრდა „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებთან არსებულ მოზარდ ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ტურნირის დასკვნითი ასპარეზობა.

სამ გუნდს — მოსკოვის „სპარტაკს“, ხარკოვის „ავანგარდსა“ და ირკუტსკის „ანგარას“ — ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა. ასეთ შემთხვევაში დებულებით პირველობის საკითხი უნდა გადაწყვიტა გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობას.

ამ მხრივ მოსკოვის სპარტაკელებს უკეთესი მდგომარეობა აღმოაჩნდა და ისინი მეოთხეჯერ გახდნენ ჩემპიონები.

მეორე და მესამე ადგილების საკითხი გადაწყვიტა „ავანგარდისა“ და „ანგარის“ ადრინდელი შეხვედრის შედეგმა, რადგან ორივე გუნდს გარდა ქულებისა ბურთების თანაბარი სხვაობა ჰქონდა. ხარკოვის „ავანგარდი“ მეორე პრიზიორი გახდა. ბრინჯაოს медალები ხვდათ „ანგარის“ ფეხბურთელებს.

მომდევნო სამი ადგილი დაიკავეს მოსკოვის „დინამოს“, თბილისის ფეხბურთის ახალგაზრდული სკოლისა და რიგის „დუგავას“ გუნდებმა.

„ლოკომოტივი“ ლიდეროობას ინარჩუნებს

რესაუბლიკათა „ბ“ კლასის მეორე ზონის გუნდებს შორის წარმატებით იბრძვის და კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში დგას თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივი.

გასულ კვირადღეს ლოკომოტიველებს საკუთარ მოედანზე ასპარეზობა ჰქონდათ სამარყანდის „სპარტაკთან“ და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 6 : 0.

დღეისათვის ზონის ლიდერს — თბილისის „ლოკომოტივს“ 31 ქულა აქვს, ლენინაკანის „შირაქს“ — 28 ქულა.

ფეხბურთელთა მეხვედრა

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა „ა“ კლასის გუნდების დუბლიორთა საკავშირო ტურნირის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 2 : 1 სტუმართა სასარგებლოდ.

კომუნისტი სპორტი

უნივერსიადის სტარტი

ბრაზილიაში დაიწყო დიდი ასპარეზობა — უნივერსიადა, რომელშიც მონაწილეობას იღებს 30 ქვეყნის 2.000-მდე სპორტსმენი. შეჯიბრების პროგრამაშია მძლეოსნობა, ფარიკაობა, ტანვარჯიში, ცურვა, ფრენბურთი, წყალბურთი.

უნივერსიადაზე გამოდიან მსოფლიოში აღიარებული ისეთი სპორტსმენები, როგორებიც არიან ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი, ი. ტიტოვი, ლ. ლატინინა და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკიდან სპორტულ პაექრობაში გამოვლენ მოფარიკაკეები ნ. ანდრიადე და გ. ლორთქიფანიძე, წყალბურთელები ლ. გოგოლაძე და გ. ჩიქვანაია, ჩოგბურთელი ი. ერმოლოვა, ფრენბურთელები ვ. კაკურავა, ვ. გავრილენკო და სხვ.

კვლავ ორი ლიდერი

ჯავანაში გრძელდება ჯავაბალკანეთის ხალხების საერთაშორისო ტურნირი ჭიდრაკში.

წარმატებით იბრძვის მ. ტალი. მორიგ ტურში მან გაიმარჯვა ესპახელ საერთაშორისო ოსტატ ფ. პერესთან პარტიაში, ძმაფრ ბრილოლში ვ. კორჩნოი დამარცხდა ჩეხოსლოვაკიელ გროსმაისტერ ლ. პაჰმანთან შეხვედრაში.

ბ. ივკოვმა (იუგოსლავია, გროსმაისტერი) მოუგო ო. ორტეგას (კუბა, ოსტატი), გ. ბარცამ (უნგრეთი, გროსმაისტერი)—ბ. დე გრეიფს (ალბანეთი საერთაშორისო ოსტატი), კ. რობაჩმა (ავსტრია, გროსმაისტერი) — ხ. ბროდერმენს (კუბა, ოსტატი), კ. დარგამ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საერთაშორისო ოსტატი) — რ. ვეიდს (ინგლისი, საერთაშორისო ოსტატი), ე. ხიმენეს (კუბა, ოსტატი) — ა. ტრიფუნოვიჩისა (იუგოსლავია, გროსმაისტერი) და ვ. ულმან (გერმანია, გროსმაისტერი) — ა. ო’ კელის (ბელგია, გროსმაისტერი) პარტიები ყაბალა დამთავრდა.

ადრე გადადებული პარტიებიდან ბ. ბარცამ მოუგო ფ. პერესს. მ. ტალი და ა. ო’ კელი ყაინმს დასჯერდნენ.

ხუთი ტურის შემდეგ ლიდერები კვლავ მ. ტალი და ბ. ივკოვი გახდნენ (თითოეული ოთხი ქულა).

ორი მატჩი

გუშინ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის ოცდამესამე ტურის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვში თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრის შედეგია 2 : 1 ცსკა-ს სასარგებლოდ.

ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „პახტაკორისა“ და მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2 : 0.

ლამაზდეგა აბასთუმანი

ამ დღეებში დამთავრდა აბასთუმნის რესპუბლიკური ტუბერკულოზური საავადმყოფოს მთავარი კორპუსის რეკონსტრუქცია და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა. საავადმყოფოს კორპუსს ამჟამად 150 საწოლი აქვს. იგი აღჭურვილია ახალი სამკურნალო დანადგარებითა და ხელსაწყოებით.

ახლა აქ თავიანთი ჯანმრთელობის აღსადგენად ჩამოვლენ მშრომელები ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან და განკურნების შემდეგ კვლავ დაუბრუნდებიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასა და ცხოვრებას.

შ. პერანიძე.

ქართული ესტრადა სოჭში

ჟ. სოჭის პარკ „რივიერაში“ გაიმართა თბილისის ესტრადის საღამო. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მსახიობებმა. კონცერტის პროგრამაში იყო ჩვენი ცნობილი კომპოზიტორების რევაზ ლაღიძისა და გიორგი ცაბაძის ნაწარმოებები.

კონცერტის ორივე განყოფილება მიჰყავდათ მ. ფეიძესა და მ. ხერხეულიძეს.

გ. საყვარელიძე.

ახალი შენოგები

ჭდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ო. ჭითანავა) სოფელ ჩხორიაში (ზუგდიდის რაიონი) ააშენა აფთიაქის ახალი შენობა. სოფელ კორცხელის კოლმეურნეობა „კომუნიზმმა“ (თავმჯდომარე ი. თორდია) ბაშის უბანში ააგო და სოფლის კოოპერატივს გადასცა მაღაზიის ახალი კეთილმოწყობილი შენობა.

გ. ალშიბაია.

გმირთა ნაკვალევზე

ერთი დღე სევასტოპოლში



ია ლტის მშვენიერი სანაპიროდან გავცქერით ამომავალი მზის მომხიბლავ სურათს.

სევასტოპოლისაკენ მიგვეჩქარება. მზიანი დილა კარგ ამინდს გვპირდება. შეყოვნით მიხვეულ-მოხვეულ ალმართებს, ტაქსის შოფერი გაგვიმეორდა.

გავცდით ბაიდარის ჭიშკარს, სოფელ ორლიონკას და მივადექით იმ ადგილებს, საიდანაც სევასტოპოლის დაცვის პირველი ხაზი იწყებოდა.

მივედით საუნ-გორასთან.

ბალაკლავიდან ინკერმანამდე გაზნეექლა ეს ლეგენდარული გორა. მზეზე ელვარებდა უამრავი ობელისკი. ხელმარჯვნივ ჩანდა პოლკოვნიკ გორპიშჩენკოს პოლკის სამმო საფლავის თეთრი ქვები.

— ბევრი საყვარელი გმირი ჰყავთ სევასტოპოლელებს, — გვეუბნება ჩვენი შოფერი, — მაგრამ პოლკოვნიკი გორპიშჩენკო განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის. ამიტომაც გმირ ქალაქში შესასვლელ პირველ ქუჩას მისი სახელი დავარქვით.

— აქ კი თქვენი თანამემამულეები განისვენებენ, — გვითხრა მან და ორი ობელისკი დაგვანახა.

მანქანა დავაყენეთ, გზა ფეხით განვაგრძეთ, ქართველებისა და სომხების სამმო საფლავებს მივუახლოვდით. ვის არ სმენია 414 ანაპის დივიზიის ზღაპრული ბრძოლები. აქაც, საუნ-გორასთან, სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის იერიშის პირველივე დღეებშიც ისახელა თავი ამ დივიზიამ, ერთ-ერთმა პირველმა აიტანა წითელი დროშა საუნ-გორაზე და პირველი შეედგა სევასტოპოლში. ამ დივიზიის მებრძოლთა დიდი ნაწილი აქ დაეცა ცხარე ბრძოლებში. ეს ობელისკი მათი დიდების სამარადისო ძეგლია.

ცისკენ ატყორცნილა ბოლნისის ტუფით აგებული ობელისკი. წინ დგას ქართველი მეომრის ფიგურა ძირსდახრილი ავტომატით. თეთრ ქვაზე წარწერილია ქართველი მეომრების გვარები: ნადირაშვილი, ესარტია, ჯაფარიძეები, თათარიშვილი, ვაშაკიძე, ტყაბლაძე და ასე შემდეგ...

ბევრი ქართველი ვაქაცი დაეცა გმირული სიკვდილით. მათი ბედი გაუყვათ კრავენკოსა და ბატრაკოვს. ახლა ისინი ერთად წვანან ამ წმიდათა-წმიდა მიწაზე. ობელისკის ქვემოთ ამოვიკითხეთ წარწერა: არქიტექტორი — გოჭაძე.

— ქართველი არქიტექტორი სევასტოპოლში ცხოვრობს, — გვითხრა მოფერმა, — ამას წინათ მანქანით ვატარებდი...

აუცილებლად უნდა ვნახოთ საუნ-გორას ენ გრაცელი ეკლესია. ახლა ვენახებით არის დაფარული.

— ეს დიორამა არის, შეგიდეთ, ვნახოთ! — შემოგვთავაზა მძღოლმა, როცა გორაზე ავედით.

დიდ ტილოზე მხატვრებს გამოესახავთ საბჭოთა არმიის იერიშის ერთი დღე, ის მომენტი, როცა გამარჯვების წითელი დროშა საუნ-გორაზე აფრიალებთან.

ვდგევართ მაღლობზე და სივრცეს გავყურებთ, თითქოს გეგესის ლეგენდარულ გმირთა მშვენიერ „ვაშა“, ქვემეხების გრიალი, ტყვიამფრქვევთა და ავტომატთა კაკანი. ჟიუანტელი გიკლის, როდესაც დიორამის ამ სუფთაუბს უცქერი. აგერ სომეხი ჯარისკაცი აშოტ მარკარიანი ჩამოდარეხია თავის მებრძოლ მეთაურს და მკერდი მტრის სნაიპერის ტყვიისათვის მიუშვერია. აი დაჭრილი მებრძოლი ლოდზე გადაწოლილა და უღონო ხელი ძირს დაგდებული ხელყუმბარისაკენ გაუწვდენია; დაჭრილს ჭრილობას უხვევს გმირი ქალიშვილი, მოწყალების და ეეგენია დერეიგინა. აგერ ვაქაკაცურად, თითქოს ცოცხალია, ისე დგას საბჭოთა კავშირის გმირი უშაშარი სნაიპერი ნოე ადამია. დიორამის შენობის ახლოს დუმან ომგადახდილი ქვემეხები და ტანკები, დუმან ისინი: მზის სხივები ეალერსება ამ ვალმოხდილ მრისხანე იარაღებს.

საუნ-გორაზე ხეხილის დიდი ბაღი გაშენებნიათ. ვაშლისა და ქლიავის ხეების ტევრში დგას მაღალი ობელისკი. ბარმარილოს დაფაზე მრავალთაშორის ამოვიკითხეთ კაპიტან აბაშიძისა და ლეიტენანტ ოთარ შენგელიას გვარები.

სევასტოპოლში პირველად მყოფი, რასაკვირველია, მალახოვის ყორღანს ეესტუმრება. იგი წარსული საუკუნის დიდების ძეგლია.

სამამულო ომის დროს სულ გადაბუგული ეს ყორღანი. ერთადერთი ნუშის ხე გადარჩენილა, ისიც ტოტებდაგლეჯილი. მას ახლა ომის ვეტერანს ეძახიან სევასტოპოლელები და განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან.

ნუშის მეზობლად, მეგობრის ხეიანის ორივე მხარეზე დარგულია სხვადასხვა ჯიშის ხეები, რომელთაც ამშვენებს თბილი წარწერები ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე.

პატარა ქალაქი როდია სევასტოპოლი. იქ სამასი ათასამდე მცხოვრებია, მაგრამ არქიტექტორ ალექსი გოქაძის მიგნება როდი გაგვიკვირდა. აქაური გაზეთის რედაქციაში მოგვცეს მისი სამსახურის მისამართი და თანვე დასძინეს:

— ჩვენი ხშირი სტუმარია ალექსი, არ გვიკვირდებს გვაწვდის წერილებს, ფელეტონებს, კალამი უჭრის, საერთოდ მეტად გულსხმიერი კაცია. არ დაგვიყოვნებია, ნაჩვენები მისამართით პირდაპირ ალექსი გოქაძის სამსახურისაკენ გავეშურეთ.

ჩვენ წინ დგას მაღალი, წარმოსადეგი ვაქაკაცი. თავისი თანამემამულეები რომ გვნახა, სიხარულისაგან უცებ დაიბნა, ქართულად ვეკითხებოდით, რუსულად გვიპასუხებდა. პირველად ეჭვიც შეგვეპარა, ეგებ ქართული დაავიწყდაო...

ალექსი გოქაძე ქუთაისელია. მამამისი სახალხო მასწავლებელი და ჟურნალისტი ყოფილა, ძველი ბოლშევიკი, კომუნისტური პარტიის წევრი 1903 წლიდან. „ივერიის“ თანამშრომელი. დიდ ილიას პირადად მისთვის უსახსოვრებია საწერკალამი, რომელიც მათ ოჯახში ინახება როგორც ფასდაუდებელი რელიკვია. ალექსის ლენინგრადის აკადემია დაუმთავრებია, სპეციალობით მშენებელი ინჟინერი და არქიტექტორია.

— სევასტოპოლის აღდგენის დღიდან აქა ვარ, — ახლა უკვე ქართულად გვიამბობს ალექსი, — ჩვენ, მშენებლები, აქ მტრის მიერ დანგრეული გმირი ქალაქის აღსადგენად ჩამოვედით. უკეთესია ვნახოთ, დაათვალიეროთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც დღემდე შეგვძლია, რაღა კაბინეტში ვსხედვართ, გავიაროთ ქალაქში, — გვითხრა მასპინძელმა და გზას გავუდექით.

გავყევით სევასტოპოლის ქუჩებს, პირველი, რაც აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, უზადო სისუფთავეა. დამწვარ ასანთის ღერსაც ვერ ნახავთ ქუჩაში, ჩვენი აღტაცება გულახდილად გავუზიარეთ ალექსს:

— ხშირად მიხდება, — გვითხრა მან, — ჩვენი ქვეყნის ქალაქებში მოგზაურობა. ტრამბანდ ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ სისუფთავით სევასტოპოლს ვერცერთი ვერ შეედრება. ჩვენთან ასეთი წესია: თვითეული დაწესებულება პასუხისმგებელია თავისი ქუჩის ერთი უბნის სანიტარული წესრიგისათვის, თვითეულს თავისი მიკროუბანი აქვს, მიმაგრებული და ისიც თვალსაჩინოვით უკლს მას. სადაც საცხოვრებელი სახლებია, იქ ეაბრნიო კომიტეტებია და ყველაფერი ეს ხდება საზოგადოებრივ საწყისებზე.

მივყვებით ნახიმოვის პროსპექტს.

— ზოგჯერ ყველაფერი ეს სიზმარი მგონია, — დაიწყო ალექსმ, — პირველად რომ სევასტოპოლში ჩამოვედი, მთელი ქალაქი მიწასთან იყო გასწორებული, სამად-სამი შენობა იდგა აქ, ისიც ნახევრად დანგრეული. დღეს კი...

დღეს კი სევასტოპოლი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, საუცხოო ახალი შენობებით დამშვენებულია და მწვანეში ჩაფლული.

— საამაყოა, — გვიამბობს ალექსი, —რომ სხვების მხარდამხარ ქართველებმაც ისახელეს თავი სევასტოპოლის აღდგენის დროს. ჩვენში ახლაც ბევრია ოგონებენ ჩემს მეგობრებს: არქიტექტორ გიგა ყიფშიძეს, კონსტრუქტორ შალვა გოზალიშვილს, მშენებელ ინჟინრებს შოთა გლოველს და ოთარ დათუაშიძეს.

— დაიცადეთ, — რაღაც ფიქრმა გაუელვა ალექსის, ოღნავი ღიმილით ბაგე აუთამაშდა და ხელმარცხნივ წაგვიყვანა. ერთხანს ასე ვიარეთ.

— აი დათუაშიძის პარკიც. ხალხმა შეარქვა ეს სახელი. ოთარმა გააშენა იგი. ხალხს მოსწონს, ახსოვს, როგორი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს დათუაშიძე და ახლაც, ამდენი ხნის მერე, მაა სახელს ეძახიან აქაურები.

მართლაც, კარგ საქმეს არ ივიწყებენ. კეთილსინდისიერად გააშენა ქართველმა ახალგაზრდამ პარკი სევასტოპოლში და სამუდამოდ დატოვა თავისი სახელი.

პარკში შევედით. ბუჩქები, გაზონები და ყვავილები. ყველაფერი თვალს ეტაცება აქ. გაზრდილა, გახარებულა სიყვარულით დარგული მცენარეები.

— იცით თუ არა, — გვიხსნის ალექსი, — სევასტოპოლელებს რა უკდებათ თვითეული ხისა და ბუჩქის გახარება?!

— ჩვენი ქალაქი მთლიანად კლდეზე დგას. ერთი პატარა ხეც რომ დარგო, უამრავი მიწის შემოტანაა საჭირო.

დავტოვეთ „დათუაშიძის პარკი“.

სევასტოპოლის დაცვის განთქმული პანორამის დათვალიერებას შეეგებინა ჩვენი თავაზიანი მასპინძელი. პანორამასთან უამრავი ხალხია, მოსულან ტურისტები, დამსვენებლები რუსული ხელოვნების, ამ შესანიშნავი ქმნილების დასათვალიერებლად. ბილეთები ავიღეთ. მალე ჩვენი რიგიც მოვიდა. შეეგებოდნ სვეტებით დამშვენებულ ზოლიანში, ავყევით მრგვალ კიბეს, თვალწინ გადაშალა



ელოვანი ომის დროინდელი სევასტოპოლის დამცველთა გმირობისა და მამაცობის ამსახველი უზარმაზარი მხატვრული ძეგლი.

დიდი სამამულო ომის დროს ამ ძეგლს ნახულობდნენ საბჭოთა მეომრები. იგი ასალაშვლებდა მათ გეომბრძოლ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს მხატვრული ძეგლი სევასტოპოლის დაცვის იმ მძიმე დღეებში ურყევ ბასტიონად იდგა თავგანწირულ შეტაკებებთან ერთად. ამიტომ გეომანელებმა 1942 წლის 25 ივნისს საგანგებოდ დაბომბეს იგი. გაჩნდა ხანძარი, მაგრამ ასპინძთა არმიელებმა თავგანწირული გმირობით შეძლეს გადაერჩინათ მხატვრული ტილო 86 ნაჭერი. იგი ალყაშემორტყმული ქალაქიდან წაიღო დაჭრილებით ავადმყოფმა გემმა.

გადარჩენილი ნაჭრები ომის დამთავრების შემდეგ კვლავ სევასტოპოლში ჩამოტანეს. დაზიანებული, ალაგ-ალაგ დამწვარი ადგილების შეერთება ძნელი გახდა. მაშინ გადაწყვეტეს ამ ნაჭრების ესკიზების მიხედვით ხელახლა დაეწერათ მთელი პანორამა.

და აი, რუსი საბჭოთა მხატვრების უზარმაზარი შრომის შედეგად პანორამა კვლავ აღდგენილია. მხატვრული ტილოს სიგრძე 115 მეტრია, სიმაღლე — 14 მეტრი. ამ ვეებერთელა ტილოზე გამოსახულია იმ საშინელი ომის ერთი დღის ბრძოლების ეპიზოდები.

პანორამიდან გამოვედით, სევასტოპოლის თავზე საღამო წვებოდა. ერთი დღეც საკმარისი შეიქმნა იმისათვის, რომ გმირი ქალაქის გუშინდელი და დღევანდელი დღისათვის შეგვეხედა.

მშვიდობის სადარაჯოზე დგას საქვეყნოდ სახელგანთქმული სევასტოპოლი.

ბ. გოგიჩაიშვილი,
ვლ. სულაბერიძე,
სევასტოპოლი.

• • •

სურათებზე: (ზემოთ) — ობელისკი საუნ-გორაზე. (ქვემოთ) საძმო საფლავი სევასტოპოლში, სადაც მრავალი ქართველი მეომარი განისვენებს.

დინამოელთა გამგზავრება

გუშინ იტალიაში გაემგზავრა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერი — მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი.

პირველი საერთაშორისო შეხვედრა მოსკოვის დინამოელებს იტალიაში ექნებათ 4 სექტემბერს „ფიორენტინასთან“.

სპორტული ქრონიკა

☐ რიგაში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. შეჯიბრება აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით. მათ პირველი ადგილები მოიპოვეს. ყველაზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა ტ. ლეონს. მან გაიმარჯვა, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა და შერეულ წყვილთა შორის. ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ა. დმიტრიევა.

☐ სოფიაში გაიმართა კრეშენ-ევროპის ბასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდ